



წელიწად

საბოლოო და სალიცერაცურო ყოველკვირეული გაზეთი

მეთერიშვილი

№ 34

კვირა, 21 დეკემბერი 1903 წ.

№ 34

გაზეთის ფინა: ერთის წლით ტულისში 7 მან., ხახვარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტულისში გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ხახვარი წლით—4 მან., ხამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიღება: ტულისში—„წერა-კიონგის გამაცროდებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და ოფიც „კიონგის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საცეკვეთო სახლში, იქნ, სადაც ეჭ. ხელისის ხრამით.

რედაქციის კანცროა ღიაა ყოველ დღე, დღის 10 საათიდან 2-მდე და საბობის 5 საათიდან 8-მდე: საჩიდაქციო საქმეებზე პირადი მოლობარი-კება შეიძლება ყოველ დღე; გარდა ორბიბითის და სამშაბათის, შუადღის 12-დან 2 საათიდან.

ფინა განცხადებისა უკანს ხელ გვერდზე სტრიქონი თრი შური. ფოსტის აღნები: თიფლის, რედაქცია გაზეთი „კვალი“.

შენარჩუნები: შობის წინ!—კიდევ ერთჯერ ბ. გოგიაშვილი და კიდევ ერთჯერ მის „აზრები“. ყვირილელის.—სსხვა და სხვა ამბვაბი.—რუსეთი.—უსხოეთის ქრისტიანის.—სიცრუ (ძველი კაცის ნამბობი), სპირილონ მცირიშვილისა.—ნაწყვეტები პლიტიკური ეკონომიკისა.—კერძო საკუთრება და მისი ისტორია... არ. რაჟდენიძისა.—კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს, თარგ. ელიაზესი.—განცხადებანი.

მიმღება ხელის მოწერა

საბოლოო და სალიცერაცურო გაზეთი

„კვალი“
გამოვა 1904 წელსაც

უკეთ გვირა დღეს ქრთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი

ფილისში: ერთი წლით ღირს 10 სასის გარეთ: ერთი წლით 7 მან., ხახვარი წლით—3 მან., ღირს 8 მან., ხახვარი წლით—50 კაპ., ხამი თვით—2 ბ. თი—4 მან., ხამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილი ნაწილადათაც შემოიტანონ.

ნების მოწერა მიაღება:

ტულისში—«წერა-კიონგის საზოგადოების» კანცელარიაში (სახალის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასთა); რენის გზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარიშვილთან და ოფიც „კიონგის“ რედაქციაში (რუსის ბაზარი, საცეკვეთო სახლებში). .

ტულისში გარება:

ქუთაისში—მიტროფანე ლალიძესთან, ვ. ბერანე შვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათონში—სპირილონ გელიძის წიგნის მაღაზაში; აზურგეთში და ახალსენაში—ვ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; გიათურაში—კალისტრატ კიბინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ოვანე ართიშვილთან; დაბა ხოში—სახალხო სამკითხველოში; მელსენაში—არსებ წილიძესთან; ოზურგეთში—ღომენტი შავიშვილთან; საბენაში (ბაქო) — ვეტრე მაგავრანთან.

რედაქცია უმორჩილესთ სოხუმის ხელის მომწერლებს თავისთ აღრესები გარკვეულთ დაწერილი გამოგზავნონ.

აღნების გამოცვლა თბილის გარეთ დორს 40 კაპ. —

კუთხის დრუჟა: თიფლის, რედაქცია „კვალი“.

შრმის წინ

შე სამართლისა გამობრუნებდა.

მოახლოვდა ქრისტეს შობის ღღე, მოახლოვდა დრო, როცა ქვეყნათ ციური ხმები მოისმება და დედა-მიწას კეშმარიტების სხივები მოეფინება... მაგრამ რომის დესპოტიას დაკურო მოელი ქვეყანა და მის მძიმე უღელ ქვეშ გმინავს და ოხრავს წელ გატეხილი, დაიხარული კაცობრიობა. აი ამ ღრას შორს ცის კიდურიდან გამოინათა ახალმა ვარსკვლავმა და ქვეყანას აუზყა კეშმარიტების მოახლოვება. შეკრონ და შეძრწუნდენ დიდებული ამა ქვეყნისა, დაუაურდენ მწიგნიბარნი და ფარისეველნი, აწრიალდენ ქვეყნის გამცემელნი და ურგულნი, ამუშავდა ჯოჯოხეთური მანქანა, რომ დედამიწის პირიდან აღეგავა სხივი კეშმარიტებისა და ქვეყანაზე წყვდიაღი ბნელი არ გაფანტულიყო. მარა ვარსკვლავი სიმართლისა განც ბრკვიალებს და დამაშვრალთა თავისეკნ უწოდებს. დაბაგრულთა გულს იმედი და სასოება ეფინება, მჩაგვრელთა გული შხამით და გესლით ივსება. მშრომელნი, მწყემსნი, მეოვეზენი, ლარიბ-ლატაკი სასოებით მოელიან კეშმარიტების ხმის გაზონებას, დიდებული და მწიგნიბარნი ფიორდებინ და დასასრულის ღღეს ელოდებიან. იროდი ემზადება ჩვილ ყრმათა დასახოცა, რომ მათ სისხლში ჩაახრჩოს კეშმარიტების ქვეყნათ მომტანი, მას ბანს აძლევენ მწიგნიბარნი და ფარისეველნი. მარა სიმართლე გათოვის არ მოღის. ქრისტე მჩაგვრელთათვის არ იძადება. ის მოვიდა ჩაგრულთა ბედის შესასუბუქებლათ ტვირთ მძიმეთათვის ტვირთის შესამცირებლათ. და მას მხოლოდ ჩაგრულნი და მაშვრალნი ეგებებიან. ის არ მოვიდა დიდებით ლ პატივით მოსილი. არა, ის მწყემსთა ბაგაში დაიბადება, მშრომელთა სამკოფელს გაანათებს კეშმარიტების სხივით. დადგება მისი დაბადების ღღე და ხალხის გულს შეება მოეფინება. მოვა კეშმარიტების მქადაგებელი და უსამართლობა განიდევნება, იშვება ნათელი და ბნელი განუანტება, იშვება სიმართლე და ეშმაკა ძალი შეიმუსრება.

კ დევ ერთგულ ბ. გოგიჩარ ჭელი და კიდევ ერთგულ
მისი „აზრები“

ბ. ფ. გოგიჩარ შვილი ამბობს: უკანასკანელი ჩემი წერი-
ლები ოჯახის და საზოგადო მოღვაწეობის შესახებო „თუმცა
გამოწვეული იყო ბ. ყვირილელის „კრიტიკით“, მაგრამ მე
პოლემიკას სულ მცირე და უმნიშვნელო ადგილი დაუმტე,
კამათს პირადი ხასიათი სრულებით ჩამოვაცალე, —საგანი თე-
ორის სფერაში გადავიტანე, და შეძლების დაგვარათ, აბე-
ჭრიურათ გავარკვიე და განვმარტე. არც ერთ წერილში მკი-
თხველისთვის თავი არ მომიბეზრებია „კვალელ“ მოკამათესთან
საპოლემიკო კინკლაობით და ყველაგან ჩემის შეხედულობის
და ცოდნის კვალობაზე, ვლაპარაკობდი მეცნიერულის ფაქტე-
ბით და საბუთებით „... მიუხედავათ ამისა, „კვალელმა“ თავ-
ხედებმა სახუმარო ფელეტონით გასცეს პასუხი თავის მოკა-
მათეს.

აი, აქ არის ბ. გოგიჩარ შვილის მდგომარეობის ტრაგი-
ზმი. ამ გარემოებამ გამოიწვია მის მხრივ აღელვებული წერი-
ლი, რომელიც „ცნობის ფურცლის № 2356-ში არის აღმ-
ჭდილი და რომელსაც ჩვენ აქ არ ვარჩევთ, რადგან ეს განძი
„კვირიდან კვირიამდეს“ ხელ უხლებელ საკუთრებას შეადგენს.

ხოლო როგორ გადაიტანა ბ-ნა გოგიჩარ შვილმა საკამა-
თო საგანი „თეორიის სფერაში“; რა „მეცნიერული ფაქტები
და საბუთები“ წარმოადგინა მან ჩვენს წინააღმდეგ; და რათ
შეძედეს „კვალის“ თავხედმა „ნედოროსლებმა“ მეცნიერ მო-
კამათეს სახუმარო ფელეტონში — ყველაფერი ეს ჩვენი გასარ-
კვევი კითხვები არის და ჩვენც ვეცდებით ეს სავსებით გავუ-
თვალისწინოთ მკითხველს. რას ნიშავს საგნის „მეცნიერულ
სფერაში გადატანა“? თუ ბ. გოგიჩარ შვილის ახალი ფელეტო-
ნები მის წინააღმდელ ფელეტონს შეადარეთ, დაინახავთ, რომ
საგნის „მეცნიერულ სფერაში გადატანა“ ყოფილა... საკუთარი
აზრის უარყოფა და მის მაგიერათ მეორე აზრის შეპარება. არ
გჯერათ? საბუთები გსურთ? ნუ გეშინიათ, ამის დასამტკიცე-
ბლით გრძელი და მოსაბეზრებელი ამონაწერები კი არ დაგვირ-
დება, პატარა და კომიკური მაგალითია საკმარისი.

რა განსხვავებაა ბ. გოგიჩარ შვილის წინააღმდელ წერილის და
ახლანდელი ფელეტონების „აზრებს“ შეა? ბ. გოგიჩარ შვილი
გვეუბნება, — არაფერობ. მე არ შემიცვლია არც ერთი წინაა-
ღმდელი აზრით. «როგორც მიშინ, ისე ეხლაც, — ისე ათავებს
ბ. გოგიჩარ შვილი თავის უკანასკნელ ფელეტონს, — ჩვენ იმ
აზრისა ვართ, რომ „ოჯახისთვის ხელის მოკიდება და მისი
ზნეობრივ მოვალეობისამებრ წარმართვა დიდი საზოგადოებრივ
მნიშვნელობის საქმეა და ვითარება ასეთი, იგი უკრ (ხაზ-
გასმული ჩვენია. ყვირილელი) სხვა გვარ საზოგადო მოღვა-
წეობაზე დაბლა დასაყენებელი არაა“. როგორც ხედავთ, უკა-
ნასკნელი სიტვები ბ. გოგიჩარ შვილის წინააღმდელ წერილიდან
ამოუწერია. მაგრამ ჩვენგან ხაზ-გასმულ სიტყვის ის შემდეგ
პატარა შენიშვნას უკეთებს: „წინააღმდელ წერილში ამ სიტყვის
მაგივრათ შეცდომით დაბეჭდილია: „არც ერთსთ“. ხომ ხედავთ
ახლა, რა სასწაულს ახდენს ეს პატარა „შეცდომის“ გასწო-
რება. წინააღმდელ წერილში ის აზრი გამოდიოდა, — მეოჯახობა
არც ერთ საზოგადო მოღვაწეობას არ ჩამოუვარდება, მაშა-
სდამე, არ ჩამოუვარდება, მაგ., ხალხის სამსახურსაც. ახლა
კი, გასწორების შემდეგ, გამოდის, რომ მეოჯახობა ჰყენ სხვა
გვარ საზოგადო მოღვაწეობას არ ჩამოუვარდება. აქ თუ ბ.
გოგიჩარ შვილს კითხვა, რომელს არ ჩამოუვარდება, მას
შეუძლია გიპასული, როსკილი, ისეთ უმნიშვნელო
საზოგადო მოღვაწეობას, როგორიც „ჩვენებური ქველმოქმე-
დება“, „ორიოდე კალმის მოსმა“ არის, და არა სხვა რო-

მელიმესო. აი, როგორ „იმეორებს“ ბ. გოგიჩარ შვილი თავის
აზრებს. აი, როგორ გადაქვეს მას კითხვა „თეორიულ სფერა-
ში“. ვის ატყუებს ბ-ნი გოგიჩარ შვილი ამ გვარ „გამოუსახლების“?
თავის თავს, მკითხველს, თუ მოკამათეს? **გოგიჩარ შვილი**

მაგრამ კარგი, რაც იყო-იყო, ჩვენ ახლა ბ. გოგიჩარ
შვილს არ გავუხსენებთ ძველ ცოდვებს, მით უმეტეს, რომ
მათთვის მან საკმარისი სასჯელი მიიღო და ახლა წინააღმდელ
აზრს „შესწორებულათ იმეორებს“ — არ ვთვლი შეიღი-
ნას საზოგადო მოღვაწეობათ. თუ აღარ თვლის, — მით უკე-
თხესი, ჩვენ იმ ტეზისებზე გადავალო, რომლებსაც ის უკანა-
სკანელ ფელეტონებში იცავს. ასეთი ტეზისი ორია. აი პირ-
ველი: „ოჯახების გახშირება და ხალხის გამრავლება საზოგა-
დოთ და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისთვის საჭი-
რო და სასარგებლოა“. ამიტომ ვქადაგებდიო, ამბობს ბ. გო-
გიჩარ შვილი, ჩვენ პირველ ფელეტონში იჯახების გამრავლე-
ბის საჭიროებასო.

ამ პირველ ტეზის ბ. გოგიჩარ შვილი შემდეგის „მეცნიე-
რული საბუთებით და ფაქტებით“ ამტკიცებს. ოჯახი, — ამ-
ბობს ის, აძლევს ადამიანს საშუალებას დაიკმაყოფილოს სქე-
სობრივი მოთხოვნილებაო. ეს კი ძალიან სასარგებლოა.
თავის მოკვლა და კუჭაზე შეშლა იმათში არის უმტკიცათ გა-
ვრცელებული, ვინც სქესობრივ მოთხოვნილებებს ვერ უმა-
ვოფილებსო. და დასამტკიცებლათ ბ. გოგიჩარ შვილს მოპყავს
ციფრები, ციფრები, ციფრები... ვკჯერა, ბატონი, უციფრე-
ბოთაც, რომ სქესობრივ მოთხოვნილებას დაკმაყოფილება უნ-
და, მაგრამ თუ ბევრი მანც ვერ იკმაყოფილებს ნორმალუ-
რათ ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას, ამის მიზეზი თვით დღე-
ვანდელ ცხოვრების პირობებშია. ვინ ვერ ირთავს ცოლს? —
ვინც ლარიბი და ხელ მოკლეა. ვინ ვერ თხოვდება? — ვისაც
მზითევი იმ აქვს. და აი, ასეთები, რასაკვირველია, სხვებზე
ხშირათ კუჭაზედაც იშლებიან და თვასაც იკლავენ, რადგან
ქონებრივი მდგომარეობა ხელს უშლის მათ დაიკმაყოფილონ
უპირველესი მოთხოვნილებანი და, სხვათა შორის, სქესობრი-
ვიც, რასაკვირველია. მაშა საღამე? — მაშა საღამე, ვისაც ამ
მოვლენების მოსპობა სურს, ის დაოჯახიანების ქადაგების ნა-
ცვლათ ისეთ პირობების შექმნაზე უნდა ზრუნავდეს; რომლებ-
შიაც ყველა „ნორმალურ“ ცხოვრებას შესძლებს. და ეს ისე-
თი პირობები იქნება, რომელიც „სქესობრივ კავშირის დღე-
ვანდელ ფორმას, ანუ „ნსტიტუტს“ მოსპობს, რადგან ეს უკა-
ნასკანელი ღვიძლი ღლებით შეიღინება დღევანდელ ეკონომიკურ ურთიერ-
ობის. სამაგიეროთ შეიქმნება სქესობრივი კავშირის სხვა ფო-
რმა, უფრო მიღალი და სასურველი, რომელიც „ნორმალურ“
კალაპოტში ჩაყენებს დღევანდელ „არა ნორმალურ“ სქესო-
ბრივ განწყობილებას. ამნარიათ იმ „მეცნიერულ ფაქტების“
განმარტებამ რომლებიც ბ. გოგიჩარ შვილს მოპყავს, დაგვა-
რვევინა ბ. გოგიჩარ შვილს „მეცნიერული ტეზისი“. ხსნა იმ მო-
ვლენებისგან, რომლებიც მის ციფრებშია დასურათებული,
ოჯახში კი არა, სულ სხვა მხარეს ყოფილია.

მაგრამ თავის „ტეზისის“ დამტკიცებას ბ. გოგიჩარ შვილი
ამით როდი ათავებს. დაოჯახიანება კიდევ იმიტომ არის
სასარგებლოო, რომ ოჯახის საშვალებით საზოგადოებას
მუდამ ახალი ელემენტი ემატება, რომელიც იქცერს ძვე-
ლების აღვილს და ჰქონის კულტურულ წარმატებასო. ეს
„აზრი“ ბ. გოგიჩარ შვილს გართლა ჰქონდა წინა წერილში, ლ-
თუ დღეს მისი შეუცვლელათ განმეორება გაბეჭა, ეს აღბათ,
იმიტომ, რომ ბებელის მოწმობამ გაამხნევა. ხალხის სიმავ-
ლეს ბებელიც იმავ მნიშვნელობას აძლევს, როგორც ჩვენონ, —
ამბობს ბ. გოგიჩარ შვილი. არ ვიტორ, სამდან ამოგლიჯა ბ.
გოგიჩარ შვილმა ბებელის ერთობაზე აზრის და აზრის აზრი.

ჰქონდა მას თავის ალაგის, ხოლო ის კი დანამდვილებით ვი-
ციო, რომ ბ. გოგიჩარშვილის „აზრს“ ბებელი ვერ დაეთა-
ხმება. „საზოგადოებრივ ცხოვრების ძალის და კულტურისა
და წინმსვლელობის საფუძველს,—ფიქრობს ბ. გოგიჩარშვი-
ლი,—ადამიანი, ანუ ადამიანთი კრებული, ხალხი შეაღებს
და ამ ძალის დღევანდელ სოციალურ პირობებში სქესობრივ
კავშირის განსაზღვრული ფორმა ანუ ინსტიტუტი“, ოჯახი,
იძლევაო. ბებელი კი ფიქრობს, რომ ამ ძალის იძლევა არა
სქესობრივი არამედ კლასობრივი კავშირი. კლასობრივ წინააღ-
მდევობათა შეგნება და კლასობრივი ბრძოლა, — აა, ბებელის
აზრით ერთათ ერთი წყარო და მამოძრავებელი ჩარხი კულ-
ტურულ განვითარებისა „დღევანდელ პირობებში“ და ამ ძალის
გასაჩენათ ბებელი „ოჯახების გახშირებას“ კი არ თვლის საჭირო,
არამედ კლასობრივ შეგნების ღრმათ და ფართოთ გავრცელებას.
ბებელმა იცის, რომ წარსულში სხვა და სხვა წყობის დარღვევათა
დამანგ-
რეველ ძალათ და ახალ კულტურის გატარებელთ აჯახი კი
არა, კლასი გამოდიოდა, და მომავალშიაც მარტო კლასი შეს-
ძლებს ცხოვრებაში ახალ კულტურის შეტანას. ბებელმა იცის,
რომ ხალხის სიმრავლეს თავისდა თავათ არავითარი მნიშვლო-
ბა არა იქნა დღეს, როგორც ამტკიცებს მას, მაგ., ხალხ-
მრავალი ჩინეთის და ხალხ-მცირე შევიტარის ერთმანეთთან
შედარება. ბებელს სასაცილოთ მოქვეყნება ხალხისთვის „ოჯა-
ხთა გამრავლების“ საჭიროებაზე ლაპარაკი, რადგან მან იცის,
რომ ხალხს თანამედროვე ცხოვრების მსვლელობა რა ხანია
ოჯახის ურლვევს, და ბებელიც სწორებ ამ პირობების ისეთ შეც-
ლაზე ფიქრობს, რომელსაც „ოჯახების გახშირება“ კი არა,
ოჯახის ნაცვლათ სხვა სქესობრივ კავშირის დამკვიდრება მო-
ყვება.

զու պատճեն „առ և լուսնա“ ծցըլուս աթրեգի, հզեն ուշ ձ ցոցիհանքովով մաս աելու մյուտեզըլու յարցատ դանախազ. ձ ցոցիհանքովով յա ծցըլուս մուժմոծաս դասեցն, „Ռուլուց լու յշնոմուսու լունուալ“ եց գոյշընծկու, և ամուտ առաջցես. ու զու „աթրու“ դասածոյցես.

ასეთი არის ბ: გოგიჩაშვილის პირველი ტეზის, და მისი
დამამტკიცებელი „მეცნიერული“ ფაქტები და საბუთები.
მეორე „ტეზის“ ასეთია: „ოჯახის რიგიანათ წარმართვა
და თავის ერისადმი ზნეობრივ მოვალეობის თანხმათ შვილების
გამოზრდა საზოგადო მოღვაწეობათ ჩასათვალია“ - ღ. ჩვენ
ამაზე ვუთხარით კიდევაც ჩვენი პასუხი: რასაკეირველია, შვილების
რიგიანათ გამოზრდა სასარგებლოა, მაგრამ თუ კაც
შვილებს ჰპატრონობს და მათ თავის შეხედულებისამებრ ზრდის,
ჩვენ აძისოვის მსთალთა მის წინ, როგორც საზოგადო მოღვა
წის წინ „მოწიწებით ვერ გავივლით“ იმიტომ რომ პირუტყვიც
ხომ ზრდის და წროვნის თავის შეხედულებისამებრ შვილებს,
და მაშინ პირუტყვიც „საზოგადო მოღვაწეთ“ უნდა ჩავთვალით
და იმის წინაც „მოწიწებით უნდა გავიაროთ“. მეორე მხრით
ბ. გოგიჩაშვილისგან აღებული ოჯახის მამა, რომელიც ყოველ
საზოგადო ასპარეზს მოცილებულია, ვერ გაზრდის რიგიანათ
შეიღებს, და მაშასადამე, საზოგადო მოღვაწეობათ კი არა,
უბრილო სარგებლობათაც ვერ ჩაითვლება მისგან მიცემული
„აღზრდა“. როგორ ამტკიცებს ახლა ბ. გოგიჩაშვილი ამ თა-
ვის ტეზისს? ის ვრცლათ ეხება კარგ აღზრდის სარგებლობას
მაგრამ ეს, როგორც მკითხველი ხედავს, საჭირო არ არის.
ჩვენ ვეძებეთ ბ-ნი გოგიჩაშვილის უზარ. მაზარ მესამე ფელე-
ტონში, რომელიც ამ ტეზისის დასამტკიცებლათ არის დაწე-
რილი ერთი აზრი, ერთი საბუთი მაინც, რომელიც „მეოჯა-
ხების“ საზოგადო მოღვაწეობათ ჩათვლის ამართლებდეს, მა-
გრამ ამათ, ყოველგან, სადაც - კი მეოჯახებაზე ლაპაკობს
ბ. გოგიჩაშვილი, ის შვილების აღზრდის „სირეგბლობაზე“
ლაპარაკობს, და ავიწყდება თავისი საკუთარი სიტყვები: „სა-

რგებლობის მოტანა კიდევ არ ნიშნავს საზოგადო მოღვაწეობას". საცოდავი „მეცნიერი“. მისი უძელურება მრთ უფრო მწვავდება, რომ იმ ჟარებულებას მოტივიურულად მის გამოოქმულ „აზრს“ სრულვბით აქარწყლებენ. მარქსმა, მაგალითათ, იმითაც მოტანა სარგებლობა ინგლისის მუშა ხალხს, რომ „შესძინა მას ელეონორასავათ მომზადებული და საქმიანი ქალი“-ო. ეს მართალია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი სარგებლობის მოტანა შეეძლო მარქსს იმიტომ, რომ მარქსი მარქსი იყო, ეს იგი საზოგადო მოღვაწე, საზოგადო საქმისოვის თავ-განწირული, რომელმაც თავის შვილსაც გადასცა ეს თავისი მიმართულება. იმ ფილისტერს-კი, რომელზედაც ბ. გოგიჩაშვილი ლაპარაკობს, ფილისტერს, რომლის „საზოგადო ასპარეზს“ მხოლოდ მისი ოჯახი შეადგენს, ასეთი სარგებლობის მოტანაც არ შეუძლია. ის ვერ გადასცემს შვილებს იმას, რაც თვითონ არ იქვს, მისი მარქსისგან განსხვავება სწორეთ „თვისებისაა“, და არა მარტო „რომდენობითი“.

ბ. გოგიჩაშვილი გვეუბნება, ჩვენ თუ საზოგადო მოღვაწეს ისეთი ფართო ფარგალი შემოვალეთ, რომ შიგ მთელი ქვეყნის ფილისტრები დაგტევაო, თქვენ ისეთ ვიწრო ფარგალს ავლებთ ამ მოღვაწეობას, რომ შიგ მარტო თქვენი მიმართულების კაცები ეტევიანო. ამით ბ. გოგიჩაშვილმა დაგვანახვა, რომ მას არა თუ თავის „აზრების“ დამტკიცება, სხვისი აზრების გაგებაც არ შესძლებია. ჩვენ ვწერდით: „საზოგადო მოღვაწე, ეს ისეთი ადამიანია, რომელმაც თავისი პიროვნება გააფართოვა, შეითვისა და შეისისხლხორცა რომელიმე საზოგადო მდგრადი ჯგუფის ინტერესები, ჩაერია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავის მოქმედებას სარჩულათ ამ ჯგუფის ინტერესთა დაცვა დაუდვა“-თქმ. მართალია, ჩვენ დავუმატეთ, რომ „რაც უფრო მრავალია და ფართოა ის ჯგუფი, რომლის ინტერესებით ხელმძღვანელობს მოღვაწე, მით უფრო ამაღლებულია შინაარსით მისი პიროვნება“. მაგრამ აქედან მხოლოდ ის გამოდიოდა, რომ ბებელი, მაგალითათ, სხვებზე უფრო უახლოვდება საზოგადო მოღვაწის ადეკვატის, და არა ის, ვითომც სხვა ჯგუფების დამცველების საზოგადო მოღვაწეები არ იყვენ. პირ იქით, აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ თვითოვეული საზოგადოებრივი ჯგუფი შობს თავის ინტერესთა დამცველ „საზოგადო მოღვაწეებს“. ეს ხაზოგადო მოღვაწეები სხვა და სხვა ზომის და სხვადასხვა თვისებისაა, მაგრამ ერთი ნიშნობლივი თვისება კი უნდა ჰქონდეს სუკველის—რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფის, კლასის ინტერესთა შეთვისება, და ამ ინტერესების სახელით საზოგადოებრივ ბრძოლაში ჩარევა. „რა ვუყოთ და როგორ მიეჩინოთ“ თქვენი განმარტების ძალით, ისეთი მოღვაწეები, რომლებიც „მარტო ერთი ჯგუფისთვის არ იღწვიან“-ის, გვეითხავს ბ. გოგიჩაშვილი. რა ვუყოთ, და უნდა ჩავუკვირდეთ, რომელიმე ერთი ჯგუფის ინტერესები ხომ არ გამოაქვთ მათ საზოგადო ივტერესების სახით. დღევანდველ კლასებათ დაყოფილ საზოგადოებაში „არა კლასობრივი“ ფსიხოლოგია არ არსებობს. და როდესაც ვინმეს „საზოგადო მოღვაწეობაზე“ ვლაპარაკობთ, ყოველთვის უნდა გამოირკვეს, რომელ კლასის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქმედობს ის საზოგადო ცხოვრებაში, რომელ კლასს უწყობს ხელს მისი „საზოგადოებისადმი სამსახური“. რა ვუყოთ, რომ მას კლასობრივი ინტერესები საერთო ინტერესებათ ეჩვენება. კლასობრივ საზოგადოებაში საზოგადო მოღვაწე (შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ეს სულ: ერთია) ყოველთვის კლასობრივ ნიადაგზე დგას. პასტერნაკის მოგონებით მოგლი კაცობრიობას სარეგებლობა მოუტანაო, გვეუბნება. გოგიჩაშვილი. ეს მართალია, მაგრამ

თვით ბ. გოგიჩაშვილმაც კი იცის, რა განსხვავებაა სარგე-
ბლობის მოტანასა და მოღვაწეობას შეა. ისე რომ ყველა
კლასებისთვის სარგებლობის მოტანა კიდევ არ ნიშავს საზო-
გადო მოღვაწეობაში არა კლასობრივ ნიაღაგზე დგომას. რო-
გორც აცრის მომგონებელი მხოლოდ,— ჰასტერი სასარგებლო
შეცნიერია და არა საზოგადო მოღვაწე. და თუ ვინმეს სურს
დააფასოს ის, როგორც საზოგადო მოღვაწე, მან უნდა სახე-
ში მიიღოს ის საზოგადოებრივი შეხედულობა, რომლითაც
ჰასტერი ხელმძღვანელობდა თვის მოქმედებაში.

ამით ვათავებოთ ბ. გოგინას შეილთან ლაპარაკს. მკი-
თხველი ხედავს, როგორი მეტნიერი და როგორი ლოდიკის
ჰატრინი ყოფილა ის კაცი, რომელიც ისე ფელეტონს არ
დასწერს, თუ არ მოიხსენა: ესე და ეს მეტნიერება შევისწა-
ვლე, ესე და ეს ლოდიკის კურსი დავასრულეო. თავის ფი-
ლისტერული ჰატარა „აზრები“, რომლებიც წარმოადგნენ
მხოლოდ ბურუუაზიულ ცხოვრების გაიღეალებას, მან ვერც კი
მოახერხა გაეხვია „მეტნიერების“ ქერქში ისე, რომ ცოტა
შანჩუგაძნელებოდა კაცს მათი ყალბობის გამოცნობა. და როდე-
საც ასეთ ჰატარა ფილისტერს მის საკუთარ ადგილს მიუჩინენ სა-
ხუმარო ფელეტონში, ის კას და დედამიწას აყრუებს ყვირე-
ლით, ჩემი სახით მეტნიერება შეურაცვეს.

ჩვენ ბოდიშს კიხდით მკითხველის წინ, რომ ამდენ ხასი
მისი ყურადღება პ. გოგიაშვილზე და მის აზრებზე შევაჩე-
რეთ, მაგრამ რას იზამ, თუ ასეთი პირები ჩვენს ახირებულ
დროში ლიტერატურაში მეცნიერების სახით დათარებოდენ.
საჭირო იყო მისი ავლიდიდების გაშინჯვა და დაფასება. ეს,
კვიქქობათ, ახლა საკმარისათ შესრულებულია, და დღეიდან
პ. გოგიაშვილი სრულად და საბოლოოთ „კვირიდან კვი-
რამდეს“ განკარგულებაში გადავა. *Suum cuique.*

ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର

ԵՐԵՎԱՆԻ ՎԱՅՐԸ

გათომის სამხედრო სასამართლომ გაასამართლა ბორჩხა ბი
ფოსტის გამძარცველნი, და ცხოიდესა და ჯინარაძეს ჩამო-
რჩობა მიუსაჯა.

როგორც კიევის განვითარები გვაუწყებენ, 5 დეკემბერს კი-
ევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის შესავალთან გამოკრული
ყოფილა განტადება: 1) „მთავრობა ამით აცხადებს, რომ ინ-
სტიტუტი დახურული იქნება, სანამ მინისტრისაფან არ მოვა-
გან კარგულება. ყოველ გვარ უწესოებას შედეგათ მოყვება ინ-
სტიტუტის უფრო ხანგრძლივათ დახურვა, სრულიად აკრძა-
ლება სტუდენტებს ინსტიტუტის შენობაში შესვლაც და წე-
სიერების დამრღვევა ჰისუნის გებაში იქნებიან მიცემული“.
მეორე განტადება: „სტუდენტებს, რომელთაც საქმე არ აქვთ
დირექტორთან და ინსპექტორთან, კანცელიარიასა ან ბუზგალ-
ტერიაში, არ შეუძლიათ შემოსულა ინსტიტუტის შენობაში,
სანამ მინისტრის განკარგულებით ინსტიტუტში სწავლა არ და-
იწყება“. მესამე განტადება: „სტუდენტებს აკრძალული აქვთ,
კარილოვებში გასტილდენ დირექტორისა, კანცელიარისა, ინ-
სპექტორისა და ბუზგალტერის კაბინეტს. ზემო სართულში ასა-
ვალი დახურულია.

ვარშავის უნივერსიტეტის შენობაში გამოკიდული ყოფილი რექტორის მიერ ხელმოწერილი განკარგულება: . მაქსი პატივი გამოუსულხადო ვარშავის საიმპერატორო - უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომ ვარშავის სამსახურით იღების მშრალ

ნებართვით, ამა წლის პირებელ დეკემბრიდან მართვა-
საკადემიო წლის მეორე ნახევრის დაწყებამდე მეორედ შეჩ-
რებულია უნივერსიტეტში ლექციების კითხულობულობა
მეტადინება, მხოლოდ იმ პირობით, რომ კულტურული გუნდები
მო გაშვებული ლექციები შევსებულ იქნეს 1904 წლის მისამართზე”.

ახლად შემუშავებული კანონით, რომელიც შექება და
სახიჩრებულ მუშებისა და მათ ოჯახის უზრუნველ-ყოფას, პენ-
სია მუშის ოჯახის წევრებისათვის ამნაირად არის განსაზღვრუ-
ლი: 1) ქვრივთ უნდა ეძლეოდეთ მუდმივად ერთი მესამედი
იმ ჯამაგირისა, რასაც მუშა იღებდა; 2) შვილებს ორივ სკე-
სისა: კანონიერს, ნაშეილებს და გვირგვინს გარედ ნაშობს,
აგრეთვე გასაზრდელათ აყვანილს, თვითონეულს 15 წლამდე,
 $\frac{1}{6}$ ჯამაგირისა, თუ რომელიმე მშობელთაგანი ცოცხალია,
ხოლო თუ უდედ მამა $\frac{1}{4}$, 3) ძმებსა და დებს, თუ უდედ
მამა, $\frac{1}{6}$ ჯამაგირისა.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი—,,თცხუა“ და სისამდგადება“
(კრიტიკული შენიშვნები ბ. არ. ჯორჯაძის, პროგრამის, გა-
მო) ა. წულუკიძისა, წიგნი სუფთაო არის გამოცემული, შე-
იცავს 53 გვერდს და ლირს ერთ აბაზათ.

၆၉ၮၦၠၤ

19 თებერვლის რეფორმაშ ახსნა ყმას იურიდიული ბორი და გაანთვისუფლა. საითაც ჭინდოდეს იქთ წადი, როც გინდა, ისე იცხოვრე, ვისთანაც გინდა, იმსთან დარ. ხოლო ფაქტიურათ ეს აქტი ნიშნავდა ძველი დამოკიულების ახალ ფორმაში დატოვებას, სხვას არაფერს. ეკო-იურათ, ქონებრივით გლეხი ისევ მეტამულისგან შეიქნა კიდებული. და მოგეხსენებათ, რომ ექონომიკური დამო-ბულება ნიშნავს ყველაფრისგან დამკიდებულებას. აქ აც გინდა იქთ არ შეეძლია წახვიდე, როგორც გინდა ვერ იცხოვრებ, როგორც გინდა ისე ვერ ინავარდებ. ონ-ყმობისსგან. განთვისუფლებული ხილი ახალ პირობე-შოებწვედა: ნადელები ურგო გლეხს მცირე, მას ისევ მე-ულისთვის უნდა მიემართა, შენ მიწაზე დამასახლე და რაც ა მახდევინეო. მემამულეს ხელში იყო მიწა, ურო-სოთაც გლეხს არ შეეძლო გაძლება, და ამიტომ აუცი-ლათ წერა დამრჩხილებრივა მის პირობებს.

საიჯარო ფასი მიწაზე იმ სიცალლეზე ავიღა რუსეთში, არენდატორის მისგან არაფერო ჩეხება მოსავები. ასე მო-
ბი, პირდაპირი ზარალია. „ამ აიღებ იჯარით მიწას და
შეიძლება. თავისი საკუთარი მიწა ან სულ არ არის და უნ-
იან ცოტაა. სახლი, და კარი სხვის მიწაზე უნდა ააშენო.
ეს საჯაროად მიწაც არმ არ იყოს, მაშინ ხომ შემშენებით
კოხოცეთ. კვითხულობით ერთ აღვილის. რას იჩამ, ცხო-
ბა გაძლიერებს, ასეუნდა ქნა. სხვა გზა ხომ არ არის?. კონ-
ის გუბერნიაში დასირტინა მიწა ჭირდა შემოსაფალი იძლევა
მანეთს და 46 კაპერეს. იჯარი კი თოთხმეტი მანეთი და
კაპერია. ასელოვის გუბერნიის ზოგიერთ ზეზაბეში კადეც
ეს მდგომარეობა მია მიწის მუშა ჩაუენებული. დესატინა
ა იდლევა ცამერ მანეთს ჭირდა შემოსაფალი და უნდა იზ-
შემამულის სასატეგებლით თვრაბეტი მანეთი“. „ამ სარ-
ლობა აქვს მიწის მუშას აიღოს იჯარით მიწა და მოსავები

ბის ნაცვლათ ზარალი ნახოს? დასძენს ხერსონის გუბერნიის შესახებ სამეურნეო კომიტეტი (P. B. № 341).

* *

ასეთი ამბავია არა მირტო ზემო დასახელებულ გუბერნიი-
გში, არამედ ბევრგან რუსეთში (და რასაკვირველია, კავ-
კასიაშიც). ასეთი შემაძრწუნებელი სურათი გიდგას ოვალ
წინ. გინდა უშველო რამე, გინდა დაეხმარო, მაგრამ რომ არ
შეგიძლია!...

დაუმატოთ იჯარას ფასის სიღიღეს და აუტანლობას სპეციულიანტების-შუაკაცების მოქმედება და ნათლათ წარმოი-დგენ მოელს სიმწვავეს ამ გვარ ურთიერთობისას. სპეციულიანტები ჩამდგარან, გაკირვებულ ხალხს და მემამულეს შორის, იღებენ ნარდათ არენდათ დიდ მამულებს ამ უკანასკნელისაგან და შემდეგ აძლევენ იჯარით გლეხებს მეტ ფასებში. სამარის გუბერნიაში ერთ დესიატინა მიწაზე იხდიან 6—8 მანეთს და შემდეგ გლეხებს ახდევინებენ 12—18 მანეთს.

* *

წვრილ სახელოსნოებში მომუშავეთა მდგომარეობა მეტის-მეტ ცუდ პირობებშია. ჩაყენებული. დიღი და პატარა, სრულ წლოვანი და უწლოვანი, უკელა ერთათა არეული და ყველა ერთნაირათ მუშაობენ. სამუშაო დღის გაგრძელება თუ შემოქლება აქ ხაზეინის სრულს ნებაყოფლობაზე დამკიდებული. უნდა მას ოც საათს ამუშავებს შაგირდებს, უნდა თვრამეტს საათს, უნდა ათ საათს, და რაღაც აც მას მეტი მოსაგები უნდა, ამისათვის ყოველთვის დღე-დაღმის განმავლობაში თექვსმეტიდან ოც საათმდევა მუშაობა მის სახელოსნოში. როგორც წვრილს მესაკუთრეს, მას მეტათ აქვს განვითარებული გამდიდრების სურვილი. ის ოცნებობს და ფიქრობს სახელოსნოს ნაცელათ დიდი ფაბრიკის, ან ქარხნის ავებას. ამისთვის მუდამ, ყოველთვის და ყოველგან, ეკონომისა ეწევა. სახელოსნოს შენობას არ აფართოებს, რა ენაღვლაბე თუ პატარა ოთახში ათი-ოუთხმეტი შეგირდი მუშაობს. ღამე სახელოსნოს ელექტრონით არ ანათებს, ერთი ღამპითაც ითლათ მიღის. ზამთარში ოთახს არ ათბობს, კარები დახურეთ და გათბებითო. სახელოსნოში ნაკლები სინათლეა, ნაკლები ფანჯრებია, შეგირდმა კარში გამჟღელ-გამომვლელს არ შეხედოს და მუშაობას არ მოცდეს. ამ გვარათ უსინათლო, ცივი, გაუნათებელი სახელოსნო, მოწამდებული და მოშეამული ჰაერი, თვრამეტი-ოცი საათის მუშაობა, ხელფასის სიმცირე, აი საღ მდიდრდება სახელოსნოს პატრონი, აი რათ აღწევს ის თავის მიზანს.] მერე არ არსებობს რაიმე კანონი, რომელმაც უნდა ალაგონს ხაზეინის ასეთი თავ-გასულობა, ასეთი სასტიკი მყვლეფელობა? მერე რა გინდა რომ არსებობს კანონი. თუ გაიძევერა კაცი ხარ, ყოველ გვარ კანონს შევიძლია მშენიერათ აუარო გვერდი და შენ გზაზე წახვიდე, სახელოსნო წესდების ერთი მუხლი ამბობს: „სახელოსნოებში მუშაობა იწყება დილის ექვს საათზე და თავდება საღამოს ექვს საათზე. აქედან ნახევარი საათი საუზმეზე დასვენება და საათ ნახევარი სადილზე“. როგორც ხედავთ; შეგირდმა ათი საათის განმალობაში უნდა იმუშაოს სახელოსნოში, ნამდვილათ კი 15—20 საათს მუშაოს. რისთვის ხდება ეს ასე? ადვილი მისახვედრია: სახელოსნოს პატრონს არავინ აიძულებს ეს დაწერილი კანონი მტკიცეთ დაცვას და არ დაარღვიოს იგი სახელოსნოები საფაბრიკო ინსპექციის არექვემდებარება, აქ ყურის მდგებელი პაფინაა, აქ ყველაფერი ხაზეინის თვითნებობაზე მიშვებული.

ვსთქვათ შეგირდს, მუშას გააგებიეს, ორმ კანონიერი
სამუშაო დღე ათ საათს არ უნდა გადასცილდეს. მერე ამით
შეგირდი მოითხოვს ზედმეტ მუშაობისთვის ტალკე ქირას? ნება

ყოფლობით ხაზენის არ აძლევს ზედმეტ შრომისთვის მუშა
არაფერს. წადი სამართლში და მჩიკლეო. ერთიან ორი მანეთის
გულისითვის იარე სასამართლოში, აწერით აუქციუნშეული
მუშაობას, და მერე ვინ იცის კიდევ მერგებ გულისითვის
გარდა ამისა ხაზენის ვინ გაუბედავს ჩივილს, მაშინ ადგი-
ლიდან დაითხოვენ და ქუჩაში გამოაბუნდულებინ: თუ აქ ყო-
ფნა ვინდოდა, სულში არ წახვიდოდიო.

զ ս ե մ ը տ ո ւ թ յ ա մ բ ո յ շ

აღმოსავლეთის საკითხი. — რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება. — ინგლისი აღმა ხუმრობს. — ომი აუცილებელია — ჩემბერლენი და კოლონიები. — ჩემბერლენის 『სატარიფო კომისია』. — ორდენ ნების და ლენტების საკითხი საფრანგეთის პრინცესის მიერ. — მეცურნებები გაფიცას აპირებენ.

აღმოსავლეთის საკითხი ისევ თვესატეს კითხვათ არის
დარჩენილი. ორი ერი, ორი სახმლმწიფო ერთი-შეო-
რეს ეჯახება, ერთი შეორეს ებრძვის. მთელი სახლ-
მწიფო მაშინა ატრიალდა, აწრიპინდენ კალმები, ამე-
ტყველდენ და ალაპარაკდენ დიპლომატები. გაცხარე-
ბული მოლაპარაკებაა. იაპონია თხოულობს რუსეთი-
საგან დანაპირების ასრულებას, თხოულობს აასრულოს
ის, რაც რუსეთმა ჩინეთს, კორეის და კორიპის სახელმწიფოებს
აღუთქვა. ამ ებათ მას უნდა რომ რუსეთმა ეს დაპირებები
ფორმალური ხელშეკრულობით დაავგირგვინოს. რუსეთი კი
ხელშეკრულობას გაურბის, არ სურს თავი ჩაბას ასეთი ხერ-
ხით და ზრდილობიან, მარა თოვჭო პასუხებს იძლევა. იაპო-
ნიის მოთხოვნილება სულ სამ მუხლით შეიძლება დაკავშიროს:
იაპონია თხოულობს, რომ მანჯურიის ნავთსადღურები გაღე-
ბული იყოს იაპონიის ვაჭრებისთვის. მეორე რომ რუსეთის
ჯარი ამიტოდან არ გადავიდეს და არ შეეხოს კორეის ტერიტო-
რიანის და რომ ამნაირათ რუსეთმა ამ მხარიდან უქნი ამოი-
კვეთოს, მესამეთ, რომ რუსეთი არ ეცალს თვის გავლენის
გავრცელებას კორეის სახელმწიფოზე. ეს სამი პირობა იაპო-
ნიის აუცილებელ პირობათ მიჩნია, და თუ ისინი დაუკმაყო-
ფილებელი დარჩა, საქმის მშეიღობიანათ გადაწყვეტა შეუ-
ძლებელი გახდება. უნდა უსათუოთ სამართალი ხმალმა გადა-
კრის. დაუთმობს რუსეთი? ეს მეტის-მეტათ საეჭვოა.

二

მთელი ევროპა გაფაციურებით ადევნებს თვალ-ყურს ამ შე-
ტაქებას შორეულ აღმოსავლეთში—ინგლისი და შეერთე-
ბული შტატები კი პირდაპირ მონაწილეობასაც იღ-
ბენ ამ საქმეში. განსაკუთრებით ინგლისი გაბრაზებუ-
ლია რუსეთის პოლიტიკით... ინგლისელები გულ დამ-
შვიდებით არ უცხერან რუსეთის გაძლიერებას შო-
რეულ აღმოსავლეთში. თვითონ ხალხი რუსეთის წინააღმდეგ
აღელვებულა და მზათაა იაპონიას დახმარება იმოუჩინოს,
თუ ის რუსეთს ომს გამოუტხადებს. იაპონიის სამინისტროში
აუარებელი თხოვნებია შემოსული ინგლისელ აფიციენდისა და
ჯარისკაცებისაგან, თუ ომი ატყდეს, რუსეთის წინააღმდეგ
გასულ ჯარში მიგვიღეთო. მარა იაპონიამ უარი შეუთვალა,
იაპონიის კანონებით უცხო ხალხი იაპონიის ჯარში
ვერ მიიღებიან. ინგლისის პრეზეც არ არის ჩუმათ. ერთი
გავლენიანი ინგლისელი გაზეთი იუწყება. ინგლისი იაპონიის
მეგობარი ქვეყანაა, ეს მთელმა ქვეყანამ იცის. ომი იაპონიას
და რუსეთს ომი მოუხდეს და იაპონია დამარტიდეს, ეს ინგლი-
სის დამარტიდება იქნება. მეგობარი სახელმწიფოს დამარტიდებას
ინგლისი გულგრილათ ვერ უყურებს, და თუმცა ხელშეკრუ-
ლებით ინგლისი მაშინ უნდა მოეხმაროს იაპონიას, თუ მას

ორი სახელმწიფო დაუწყებს ომს, მაგრამ იმან მაინც უნდა აღმოუჩინოს იაპონიას დახმარებათ.

* *

რუსეთის პასუხს იაპონიის მოთხოვნილებაზე ტოკიოში
ისე უყურებენ, როგორც სრულ უარის გამოცხადებას რუსე-
თის მხრივ ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ია-
პონიის მღელვარება უმაღლეს წერტილამდე არის მისული,
ამას წინათ სამა ლიგამ პეტიციები წარუდგინა იაპონიის მეფეს,
მიკადოს, რომელგანმაცი დაეინებით თხოვულობენ, რაც მთავრო-
ბამ მიატოვოს ეს უნაყოფო და ფუჭი დიპლომატური მოლა-
პარავება; რომელიც მხოლოდ საქმეს აჭიანურებს და იხლავე
მიმართოს იარაღს; ომი მათი აზრით მაინც აუცილებელია და
რაც მაღლე იქნება, მით უკეთესი. რაც უფრო იმდხანს გრძელ-
დება მოლაპარაკება, მით მეტი დრო აქვს რუსეთს თავის სა-
მხედრო ძალა შორეულ იღმოსავლეთში მოიკრიბოს და მით
მეტი შეძლება ექნება იაპონიასთან მწვავე ომი გამართოს.
პორტ-ატერიურში უკვე მივიღებ უკანასკნელი ჯავშნიანი გემები
რუსეთისა, კორეიდანაც იტყობინებინ, რომ რუსეთს გადა-
წყვეტილი აქვს არას გზით არ მისცეს ნება იაპონიის კორეია-
ში ფეხის მოკიდების. ერთი სიტყვით, ყველაფერი ამტკიცებს,
რომ აღმოსავლეთში შავი ლრუბლები მოიკრიბა და მაღლე უნდა
ჰქონდეს კუხილს ველოდეთ.

水滸

ჩემბერლენი და თავისუფალი ვაჭრობა ერთმანეთს ვერ
ურიგდებიან. ნახვარ წელზე შეტია ჩემბერლენი განუწყვეტ-
ლივ აუწყებს ქვეყანას თავის პროექტს, ქვეყნა უნდა დავიხ-
სნათ გაღატაკებისგან. ამის გულისუმვის მან კოლონიებსაც
მიმართა. ახლა როგორც გაზეთები იუწყებიან ინგლისის სამა-
კოლონია კანადა, სამხრეთ აფრიკა და ახალი ზელანდია ოფი-
ციალურათ ჩემბერლენის პროტექციონიზმის მხარეს გადავი-
დენ, მისი პროექტის მიღებაზე დასტური თქვეს. სიმივე კო-
ლონია თანხმაა ინგლისის საქონელს ნაკლები ბაჟი დააღვის,
ვინემ სხვა ქვეყნის საქონელს. ამისუმა კანადა და სამხრეთ
აფრიკა არსებულ ბაჟს უკლებენ ინგლისის საქონელზე. ახალი
ზელანდია კი სხვა ქვეყნის საქონელზე ბაჟს უმატებს, ინგლი-
სზე კი ისევ ძველ ბაჟს სტოკვებს. საფიქრებელია, რომ ავს-
ტრალიის ფედერაციაც ჩემბერლენის პროექტის მხარეს და-
იქმნა.

二

ამით გამხნევებული ჩემბერლენი კიდევ ისეთ საქმეს შეუ-
დგა, რომლის მსგავსი ჯერ ინგლისის ისტორიაში არ იცის.
მან საკუთარის ინიციატივით შეადგინა, „სატარიფო კომისია“,
რომელმაც უნდა შეკრიბოს ცნობები ტარიფის შესახებ და
შემიუშაოს სატარიფო პროექტი. ექნამდი ასეთი კომისიების
შედგენა მხოლოდ სამინისტროს ვალდებულება იყ. ახლა
რაც სამინისტრო ყოყმანობაშია, ჩემბერლენს თვითონ მოუწ-
ყვია ეს საქმე, თუ ოქვებ არ შევიძლიათ, მე გავაკეთებო. ეს
რასაკვირველია სხვის სფეროში შერევა, და არაფრთ მოსწონს
ინგლისის კონსერვატიულ გაზეთებსაც. ისინი ურჩევენ სა-
მინისტროს, თვითონ იღლოს ხელში „სატარიფო კომისიის“
შედგენა. სამინისტრო მნიშვნობით შეტათ უხერხულ მდგომარეო-
ბაში ჩავარდა, აქამდე ის მაღულების ვარგათ თამაშობდა,
არც ჰოს მამობდა გარკვევით, არც არას, ახლა კი იძულე-
ბულია აშეარათ გამოთქვას თავის აზრი ჩემბერლენის შესახებ
და ამით ბოლო მოულოს ყოველგვალ ორჭოფობას და თუ-
აზროვნობას.

六

ნები, ომელინიც კაცს, რაღაც კულათ აქცივნ. ოქსიგომი
კამ, თქვა მირმანმა, რატომლაც დაანარჩუნა ისეოთ რამერთ, რაც
სრულიადაც არ შეეფერება მის პრინციპებს ეს მუზეუმით
რობის ტატული, ორდენები და სხვ. რა გრძელება მომდევნო
ნი? ისინი მხოლოდ ინტრინგების წყაროთ გამდარა, ყველა-
ნი ისე ეძებენ ლენტის გულზე ჩამოკიდებას, როგორც მშეი-
რი საჭმელს. ლენტების მოპოვება ეს მთელი სპორტია, სადაც
ერთმანეთს ეჯიბრებიან. მოხუცი და ახალგაზრდა, დიდი და
პატარა. რის მანისია, ეს ლენტები? ვის ან რას უკეთებს ეს
პრეცენტიალებული ტანისამოსი? დროა მოისპოს მისი უკანას-
კრელი ნაშებიც. მირმანს უპასუხა კომპმა. მან გამოთქვა, რომ
ეს ძელ ჩვეულებებია, ომელიც ისტორიულათ გადმონაცემია
ჩვენი დროისთვის და რომლის ასე უეცრათ მოსპობა მაშასა-
დამე არ შეიძლებათ. ლენტები და ორდენები კაცის გულზე
სხვებს მოჭმედების წყურვილს უღვიძებს და ახალისებსო; იმი-
ტომ ეს კიოხვა ასე უეცრათ გადასაწყვეტი არ არის და კომისია-
ში გადავცეოთ. მარა პალატამ არ შეიწყნირა კომბის წინადა-
დება და 352 ხმით 225 წინააღმდეგ დაადგინა მირმანის პროექტი
ახლავე განვიხილოთ.

* *

კერძო ბიუროების გაუქმება ჯერ კიდევ შწვავე ჰითხვათ
არის დარჩენილი საფრანგეთში, რაღაც სენატი რაღაც მოსაზრე-
ბის გამო მეტათ აჩერებს მათ გაუქმებას. მუშები ენერგიულათ
თხოულობენ მალე მთაშორონ მათი გამყვლევი ბიუროები,
წინააღმდევ შემთხვევაში გაფიცვებით იმუქრებიან. ერთათ
ერთი სიშუალება მუშების დამშვიდების—ეს მათი სამართლია-
ნი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა.

၆၀၃၄ၩ

(ძველი კაცის ნამდვილი)

IV

(გვ. გრძელება. იხ. „გვ. ლი“ № 33 1903 წ.)

— არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჯერ კარგი მე-
გობარია შენი, მარაზ ჩამოვალება თუ არა შეუში მესამე პირი,
უცათ უვრილდება გული და ძალიანაც რომ მოინდომოს, მე-
გობრობას მაინც ვერ გაგიწევს. ეს საზოგადო ხველრია პატა-
რი კაცთა. იმთა გულიც პატარა ძქვთ და აბა პატარა გულ-
ში როგორ მოთავსდეს ბევრი საგნები! ასეთ ადამიანების
რიცხვს არ ეკუთვნოდა ჩემი მეგობარი, ის კი არა, როცა
გამენდო, მის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა და არც ერთს
ფიქრს, რომელიც კი გაუვლიდა თავში აღარ მაპარებდა. ის
კია, რომ იმ დღეს მერჩე ჩვენი საუბარი სულ მისი საყვარე-
ლო არსების გარშემო ტრიალებდა და საამბო კი მაინც არ
ელეოდა. მას შემდეგ ის მოწყენაც, რომელიც უწინ ასე
ხშირად იპყრობდა მას, გაქრა სადღაც და ის გამხიარულდა.

”— იცი ვინ არის ჩემი მარო? აღტუ ცებით. მეუზნებოდა
ის,—ქალი არ გვერნოს, ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი!
აბა თუ ძა ხარ, ისეთ შრეში აღზრდილ ქალს მე როვორ შე-
ვუყვარდი? სად მე და სად ის? მე ხომ მათი საზოგადოება
გიქსა და გარყვნილს მექანის. მაგრამ სიყვარული, ძმავ, სიყვა-
რული ნამდვილი დემოკრატიული გრძნობაა, ის არივის არ
არჩევს და ყველის თავის კალთას ქვეშ იფარებს, თუ ვინმემ
შემწეობა თხოვა. სიყვარული—ეს დიდი ნიჭია! და მას ეჩრე-
ბოდა სიტყვა ყელში, მოქაფებული გრძნობა პირზე მომდგარ
სიტყვას სათქმელათ არ ანგებდა და ისიც ნაწყენი გადაკიდე-
ბდა თავს და ოცნებობდა.

„— ახ, ნეტავი შეგ! ვამბობდი გულში და მიხაროდა
კიდეც, რომ ამ ტანჯულ კაცს ერთი სხივი მიინც უთბობდა
გულს. და მე გამიტაცებდა რაღაც მშვენიერი და მომხიბლავი

სურათი და იმედ მოცემული მივდევდი და მივდევდი მას. ჩემ თავში შენდებოდა მშექნიერი შენობა, ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი, ისეთი მომხიბლივი! იქ საშვალოთ არის ყველაფერი, ბერნიერებაც და უბედურებაც, სტკონებაც და სიმწარეც, ერთი სიტყვითა არაფრით არ გავს ჩენი ცხოვრების იმ დამპალ შენობას, რომლის ერთი მხრით მხოლოდ სიმწარეა, მეორე მხრით სიტკონება. არა, ჩემი შენობა არ გავს ამ ძველს და დასანგრევათ წამზადილ შენობას. და აპა გამზადდა ჩემი შენობა ჩემს. თავში, ის აღარ ეტევა იქ, ფართოვდება. მე ვდევ-ბი, მივდივარ სტოლისაკენ და მინდა ქალალდზე სიტყვებით გადავხატო ის, მაგრამ გამოდის, რომ „ის“ ის აღარ არის, მე რომ მინდოდა, სიტყვებმა ვერ გამოთქვეს ჩემი ფიქრი.

„— მარომ იცის, რომ შენ ავათ ხარ?—დავეკითხე ერთხელ მას.

„— რას ამბობ? მაგას როგორ შევუთვლიდი? ხომ მოკვდება, კაცო, დარღით? მივწერე მხოლოდ რომ ცოტა უქეი-ფოთა ვარ და რომ ეს ჩქარა. გაივლის... მართლა, იცი, რა მივწერე ამ ბოლოს? ერთი ვეებერთელი საბუთი მოვთხოვე სიყვარულისა. აი რაშია საქმე: მე შევუთვალე, რომ ერთ თვე-ში გამზავნიან და რას იზამ, მარო, ხომ წამყვები მეოქი. აბა ნახავ თუ რა პასუხს მომცემს, აბა ნახავ! მართალია ვიცრუე, მარა, როგორც კი მის პასუხს მივიღებ, მაშინვე გავაგებიებ ყველაფერს... მხოლოდ რაღაც დაიგვიანა, კაცო, იმის წერილმა და არ ვიცი კი რას მივაწერ!

„— ერთი კეთილი დარაჯი, მცროვდენი სასყიდლით ასრულებდა ფოსტის მაგიერობას, იმას მიქონდა გარეთ ჩენი წერილები და იმასვე შემოქინდა ჩენთან პასუხიც და სხვა, რაც კი მოსახერხებელი იყო.

„— კიდეც ამიტომ იყო, რომ ჩენ შორიდანვე ვიცნობდით იმის ფეხის ხმას და ერთი უნდა შეგეხედათ მაშინ ჩემი მეგობრისთვის, როგორ ეცვლებოდა ფერი და რა გულის კანკალით უცდიდა ჩენს კეთილისმყოფელს დარაჯს. ის შეშინებული ეკითხებოდა მოსულს:

„— Ничего?

„— როცა მიიღებდა პასუხათ:

„— Ничего, братеци!—ულონოთ, სასომახდილი და უცმოდა ლოგინზე და ისე გარინდებული ეგდო, უხმოთ, უძრავათ, სანამ მე არ შემოვუძხებდი.

„— შეყვარებული კაცი სახოგადოთ იჭვიანია და მით უფრო ციხეში. ჩემი მეგობარიც შეიპრო დაბოლოს იჭვებმა, როცა მაროს წერილს დააგვიანდა, იმდენათ შეიპრო, რომ მაღა ერთიანათ დაეკარგა და ორი სამი დღის განმავლობაში ერთიანათ მიქრა. თან გამიზეზდა და ავზე თუ კარგზე ყველაფერზე წყრებოდა.

„— კაცო, რა მოხდა ახეთი?—ვამშვიდებდი მე,—აღბათ რიმექ დაუშალა, მოითმინე და მიიღებ პასუხს, გაგონილა ასეთი მოუთმენლობა?

„— რა ვიცი კაცო, რას უნდა დაეშალა? რაღაც არა ჩენულებრივია!

„— იქნება არ მიულია?

„— ეს არ შეიძლება, რომ არ მიელო! ჩენი დარაჯი პატიოსანი კაცია?

„— მაინც მოითმინე ცოტა, ისე როგორ შეიძლება!

„— არა, თუ მა ხარ მითხარი, გყვარებია ვინმე?—დამეკითხა ის.

„— არ მქონია ბერნიერება!.. მოკლეთ მოვუკერი. მე ვიცრუე და რომ არ შეემჩნია ჩემ სახეზე ცვლილება, პირი შევიბრუნე. ან და რათ უნდა მეთხობია მართალი? რომ მეთქვა კი მეთქი, მერმე ხომ გამომკითხავდა ამ სიყვარულის.

ისტორიას და განა კარგი იქნებოდა, რომ მე იჭვანი კაცის გვარ კიდევ მეტი მასალა მიმეტა იჭვიანობისა?

„— აბა, ძმავ, თუ არ გამოგიცდია, ნურ გვარულებული გვარ საქმეში. სიყვარული თავდაპირველათ სნეულება გვარულებული გვარულება ბისა და როგორც სნეულება, იმით შეპყრობილი კაცი არ შეიძლება ნორმალურათ მოიქცეს.

„— მან ხელისხმა დაწერა წერილი და გაგზავნა, მაგრამ ამ დღეს შემდეგ მე ის აღარ მინახავს მოსვენებული...

V

„— შეი ფიქრები შემოდგომის ღრუბლებივით დაბუდდა ჩენის თოახში. ის სძლიერ იჭვებმა, ჩაგდეს ლოგინათ და ეთხოვებოდა სიცოცხლეს ეს ტანჯული ადამიანი. მოელი ჩემი ფანტაზია მოვიშველიე მე, შევთხვევი ათასგვარი ზღაპრები, სადაც ქალის ერთგულება გამოუთქმელ დაბრკოლებებს ძლევს, მოვიგონე, თუ რამდენ დროში რამიტე რომანი წმინდას იმ ტემაზე, რა და რა გმირული ამბები არ ვუამბე შეყვარებულ ქალთა ცხოვრებიდან, მაგრამ ყველივე ამაო დარჩა მას შემდეგ, რაც მეორე წერილის პასუხმაც დაიგვიანა! იმის გამხნება აღარ მოხერხდა.

„— კმარა, მეგობარო, სულ ტყუილია! ჩემი საქმე გათავდა, გათავდა! ამბობდა ის.

„— და მეც, რომელიც მის გამხნევებას ვცდილობდი, რომელიც დაცემულის წამოყენებას ვაპირობდი, დაბოლოს მეც ჩამითრია მეგობარმა, ძველმა ნალველმა კვლავ იჩქეფა და ცრემლები კოკის პირულით გადმომდინდა. მე შევცურე რალაც ახირებულ სულდგმულებში, რეალური ქვეყანა მიმეფთარა თვალიდან და სულ უცხო და უცხო სანახავებში ამოვყავი თავი, უცხო და უცხო სულიერები შემომხვევლენ გარს და თვითეული მათგანი იყო ის, რომელმაც დამატყუა და ყველა ისინი მიცემდენ მე და ხარხარებდენ, მიღერდენ მუშტებს და მემუქრებოდენ, დამცინდენ და ფეხებს მიბაკუნებდენ, მეციდებოდენ ყურში და მეუბნებოდენ:

„— შენ ფიქრობ ეს შენი ყურია? ხა, ხა, ხა! არა შენ სულელო, ეს ვირის ყურია, რომელიც ჩენ გამოგაბით, ვირის ყურია, ვირის ყური!..

„— და მე ვშფოთავდი, ისინი კი უცებ შეეწებნენ ერთმანეთს, მიიღებ ერთი სახე და ეს ერთი სახე იყო კიდევ „ის“ და ის ერთი მოდიოდა ჩენთან და დამცინავი ხმით შეუბნებოდა:

„— არა, შენი ცხვირის პატრონს ვინ შეგიყვარებდა, შენ, ტომარა შენა! ვირის ყურები გამოგაბი! ხო არ გინდა გაკოცო?

„— და ის მწვდებოდა გულში, გლეჯდა მას ნაკურნაკურნა, ამოქონდა და ჟამდა. სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა მის ბაგეზე, ის კი იცინდა, დამცინდა. ეჭ, თურმე რა რიგათ მეცულებოდა ის, რომ აგრე ძლიერ არ მყვარებოდა!

„— მე ამევსო გული და თვალცრემლიანი დავეშვი ჩემი მეგობრის ლოგინზე. ის ჩამაცერდა და მისიხვდა:

„— შენც? დამეკითხა ის და მწარე ღიმოლმა გაურბინა სახეზე.

„— დიახ, მეც ჩემი ძეირფას ძმავო!.. მაგრამ შენ ჯერ კიდევ უნდა გქონდეს იმედი, მე კი... ჩემთვის ყველაფერი გათავდა! მაშინ, მხოლოდ იმ დროს გავიგე, თუ რა ნაირი შეუცარებული იქლავს თავს და მეგობარს ვუთხარი:

„— არასოდეს ადამიანი არ უნდა გააღმეროთ, რაღას იზამ თუ დაბოლოს ის შენი ღმერთი უსულ-გულო კერპი გამოდგა? მან თავი გააქნია და პასუხი კი არ გამცა, ან კი რა უნდა ეთქვა?

„— გარეთ კი მშენიერი დარი იდგა. გაზაფხულის თბილი

Мѣя олѣрѣсіа на тѣа къюнѣбомъ да დედа мѣїшіе გალვივѣბულ გულ-
მკერდს да დედа შვილურათ კუცნიდა მას. ბუნება ახალი ტან-
საცმელით ეგებებოდა გაზაფხულის ზამთარზე გამარჯვებას, ალ-
გა შეყვარებულნიც სადმე განმარტოვებით საუკუნო სიყვა-
რულს ეფიცებოდენ ერთმანეთს, ორიოდე კეთილ ჩიტუნებს
არც ჩვენ დავვიწყებოდით და რამდენიმეჯერ მოფართხალდენ
ჩვენი ფანჯრის რკინის უჯრედებით ძრელებულ მინებჲ, შე-
მრგვახეს რაღაც და კვლავ გაფრინდენ, ხოლო ჩვენ არი
არ ვერიეთ ამ დღესასწაულში. და გულ მოსკვენილი დავტი-
როდით, ჩვენი თუ სხვის წყალობით, ჩვენს გატიალებულს
ყოფის.

„სიკვდილი დალერსებოდა ლევანს, რაცა პასუხი მიიღო.
ერთი უკანასკნელით კიდევ გაუბრწყინდა მას მისი მშვენიერი
თვალები, როცა წერილი იღო და შემომხედა. მაგრამ მას
იღარ შეეძლო კითხვა და პანიშა, რომ მე წამეკითხა მისთვის
ის. მეც გამოვართვი და გადაუთვალიერე. წერილი ამართ-
ლებდა ლევანს იცვებს. მოკლეთ ი რა ეწერა შიგ: „ძლიერ
ვნანობ; მაგრამ ჩემი სიყვარული უბრალო გატაცება გამოდგა
და გთხოვ დამივიწყო“.

რაღა წამეკითხა მისთვის? ის, რაც შიგ ეწერა? არა,
არასოდეს! უკანასკნელ წუთს რატომ მოვუშხამავდი ამ კეთილ-
შობილ ადამიანს? განა აზ ეყოფა წვალება? ელვასავით გამი-
ელვა თავში მე და მხიარულად გადავხედე მომავდავს. ის
თვალებ დახუჭული იწვა და უცდიდა კითხვას და მეც და-
ვიწე:

„— ჩემო ძირფისო! ვამბობდი მე,— განა შემიძლია მე
შენი დაშორება? განა შემიძლია შენი დავიწყება? რა საჭირო
იყო ასეთი ჩემი შეურაცხოფა? მე რათ მინდა უშენოთ ქვე-
უნიერება—მეწყერსაც დაენგრიოს! მე ისიც მიკვის, თუ უშე-
ნოთ როგორ გავძელი ამდენ ხანს. ეხლა იქ ერთათ ვიქნებით
და იქ აზ წამოგვები? ჯოჯოხეთში ვიყო, ოდანდ შენ კი
გხედავდე, შენთან კი ვიყო? რას მიქვია დაბრკოლება? ვინ
სძლია სიყვარული წინეთ, რომ დღეს სძლიონ ის? გამდეს,
რომ ყოველნაირი ღმერთი კვდება, ყოველნაირი ძალა ეცემა,
ყოველნაირი უფლება ირლვევა, აზ კვდება მხოლოდ ღმერთი
სიყვარულისა, აზ ეცემა მხოლოდ ძალა სიყვარულისა, ხელ-
შეუხებელია მხოლოდ უფლება სიყვარულისა. და ნუ თუ შენ
გგონია, რომ შენი მართ, შენი სიყვარულით შეკრული მართ
გილალატებს შენ? სირცევილი შენი, თუ ეს გულში გაიტა-
რე! მაგრამ შენ ხომ მაგას აზ იფიქრებდი შენს მართებ? მაშ
ნახვამდი ჩემო ძირფისო ლევან. მუდამ შენი მართ.“

„მე ცრემლებში ვიდვრებოდი, როცა გავათვე. ლევანის
მკერდი მძლავრით აღი ჩადიოდა, მხოლოდ სახეზე ეწერა გა-
მოუთქმელი ნეტარება. მან გააჭირა თვალები, გამომიწია ხე-
ლები და რაღანაც ველარ ზიდა ისევ დაუშო.“

„— აკი გეუბნებოდი, აკი გეუბნებოდი ჩემო ლევან! ჩა-
ვტერჩულებდი მე და ვკაცნიდი მას. მან კი მანიშა რომ წე-
რილი მის ტუჩებთან მიმეტანა. ხო აზ უნდა აკოცოს? გამი-
ელვა თავში: ნუ თუ ეს შხამი უნდა გაეკრას იმის პატიოსან
ტუჩებს? მაგრამ სიცრუ უნდა მიმეყვანა ბოლომდე და მეც
ვძლიე ზიზლი, ის იყო მიუახლოვდა მის ტუჩებს დაკეცილი
ქალალდი, რომ იხექა სისხლმა და თეთრი ქალალდი გაყვა
იმის ნაკადულს. საზარელი ღრიალი ჩავეკარი გულში ჭლევანს,
რომელმაც ერთი კი მოასწრო შემოხეტვა და სამუდამოა გა-
მოეხოვა ქვეყანას.“

„— მაპატიე ძმაო, მაპატიე! ვქვითინებდი მე,— შენ და-
გატუვა შენმა იმედებმა, დაგატუვა ქვეყანამ, ხალხმა, დაგა-
ტუვა შენმა მარომც და ი მეც მოგატუვა შენ, მაპატიე
ძმაო!..“

მოსამსახურეების მაგარმა მკლავებმა წამომაგდე, ზედ გა-
რე ისევ მშვენიერი დარი იდგა, მხე ისევ ჩაკუნებოდა დედა
მიწას და გატაცებულით უკუცნიდა გულ შეკრუ ნეტებულები
ბულები ალბათ ეხლაც ეფიცებოდენ ერთმანეთს, ორიოდე კეთილ ჩიტუნებს
არც ჩვენ დავვიწყებოდით და რამდენიმეჯერ მოფართხალდენ
ჩვენი ფანჯრის რკინის უჯრედებით ძრელებულ მინებჲ, შე-
მრგვახეს რაღაც და კვლავ გაფრინდენ, ხოლო ჩვენ არი
არ ვერიეთ ამ დღესასწაულში. და გულ მოსკვენილი დავტი-
როდით, ჩვენი თუ სხვის წყალობით, ჩვენს გატიალებულს
ყოფის.

„— და აპა, ჩემო მეგობრებო, მან ხნის კაცი მოვიყარე,
